MES 4 22 0000868706

03/08/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 21 ივლისს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/89956153642?pwd=OTRubDBpVkpHSGZCaTZZeTJCVlp4dz09

Meeting ID: 899 5615 3642
Passcode: 814312

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი/საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე/საბჭოს მდივანი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი/საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე/საბჭოს წევრი;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი/საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა:
ვასილ კიკნაძე - შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას დირექტორი,
მაია ჩიხლაძე - დირექტორის მოადგილე,
ხათუნა მაისაია - კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი:
მარიამ ტვილდიანი - დირექტორი,
ნატო ხმალაძე - სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
ნინო გიორგაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:
ქეთევან ბოტკოველი,
ალინა კუპრავა,
შორენა უზუნაძე,
ზაირა ბერიძე,
ნანა ვერულაშვილი,
ალექსანდრე კეკენაძე,
ქეთევან ღვანიძე,
თეა ლილუაშვილი,
მაია ომიაძე,
თათია კაციტაძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:06 საათი

საბჭოს სხდომას არააქტიურ რეჟიმში ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია. მისი თხოვნით, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შორენა ჯაფარიძე. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. შემდეგ ქალბატონმა შორენამ ქალბატონ ნანი დალაქიშვილს მიმართა, რამე შუამდგომლობა ხომ არ ჰქონდათ, რაზეც ქალბატონმა ნანიმ განაცხადა, რომ შუამდგომლობა არ ჰქონდათ. სხდომაზე განსახილველი იყო ორი საკითხი, დასკვნები გამოგზავნილი ჰქონდათ და

დოკუმენტაცია გაგზავნილი იყო საბჭოს წევრებთან. აქვე ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა, რომ საბჭოს თავმჯდომარე პერიოდულად შეძლებდა ჩართვას, მაგრამ სხდომის წაყვანას ვერა, ამდენად, ქალბატონი შორენა წარუძღვებოდა სხდომას თავად საბჭოს თავმჯდომარის სურვილით. ექსპერტებიც და დაწესებულების წარმომადგნელებიც ადგილზე იყვნენ, ამიტომ ქალბატონმა ნანიმ წარმატება უსურვა ყველას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო
კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ წარადგინა პირველი საკითხი და დამსწრეთ დაუსახელა წარმდგენნი: ქეთევან ბოტკოველი, ალინა კუპრავა, შორენა უზუნაძე, თათია კაციტაძე, ზაირა ბერიძე, ნანა ვერულაშვილი, ალექსანდრე კეკენაძე, ქეთევან ღვანიძე, რის შემდეგაც ჯგუფის თავმჯდომარეს კითხვით მიმართა, თუ როგორ აპირებდნენ საკითხის წარდგენას, ანუ ვინ იქნებოდა პრეზენტაციაში ჩართული. ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ პირველ ოთხ სტანდარტს თავად წარადგენდა, ქალბატონი ალინა წარადგენდა დარგობრივ პროგრამებს, ხოლო დარგის ექსპერტები დამაზუსტებელი კითხვების შემთხვევაში ჩაერთვებოდნენ.

აქ ჩაერთო ნანა ყუფუნია. მან მადლობა გადაუხადა ქალბატონ შორენას სხდომის წაყვანისთვის და აღნიშნა, რომ იმ მიზეზის გამო, რომ ვორქშოპზე იყო, თავად ვერ შეძლებდა საბჭოს წაყვანას, თუმცა პირველ საკითხზე მიიღებდა განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას.
საკითხის წარდგენა დაიწყო ქეთევან ბოტკოველმა. მან აღნიშნა, რომ პრეზენტაციის ფარგლებში წარადგენდნენ ავტორიზაციის საბჭოს დასკვნის შედეგებს. ვიზიტი დაწესებულებაში 17, 18 და 19 მაისს განხორციელდა. მან მადლობა გადაუხადა თავისი ჯგუფის როგორც ხარისხის, ისე დარგის ექსპერტებს. ჯგუფში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტად იყო ალინა კუპრავა. იმ მიზეზით, რომ დაწესებულება რამდენიმე პროგრამას ახორციელებს, შვიდი სხვადასხვა დარგის ექსპერტი იყო წარმოდგენილი ჯგუფში. პრეზენტატორმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა შეფასებებისა და დასკვნის საფუძველზე, პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა,

როგორც „სრულად შესაბამისი“, მათ შორის, ყველა საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა პირველი სტანდარტის 1.2. და მეხუთე სტანდარტის 1.2. კომპონენტისა. ეს ორი კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს ინტერნაციონალიზიაციის მიმართულებით აქვს საუკეთესო მდიდარი გამოცდილება. კერძოდ, საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა 2014 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს და მემორანდუმები აქვს გაფორმებული ლატვიის, ქალაქ დაუგავპილსის და ესტონეთის, ქალაქ ტალინის ჯანდაცვის მიმართულების კოლეჯებთან, რომლებთანაც განხორციელდა ადმინისტრაციის წარმომადგენლების ვიზიტი და სამომავლოდ დაიგეგმა ერთობლივი სასწავლო პროგრამების განხორციელება. ასევე აღსანიშნავია გერმანელ პარტნიორებთან, DG Consult-თან, თანამშრომლობა პროექტის - „ექთნების დასაქმება გერმანიაში“ ფარგლებში, რომელიც 2020 წლის იანვარში დაიწყო.

პრეზენტაციის მიმდინარეობისას საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, ისმებოდა გარკვეული კითხვები, რომელთაც მეტწილად საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ახმოვანებდა. ქალბატონი შორენა დაინტერესდა, მიმდინარებდა თუ არა კოლეჯში სასწავლო პროცესი ვიზიტის დროს და თუ ჰქონდათ ექსპერტებს მათი ნახვის საშუალება. ქეთევან ბოტკოველმა დაუდასტურა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა: კბილის ტექნიკის პროფესიაზე მიმდინარეობდა სწავლება, სადაც ძალიან ბევრი სტუდენტი იყო და ძალიან საინტერესო იყო მათთან გასაუბრება. რაც შეეხება სხვა სტუდენტებს, ექსპერტები მათ ონლაინ რეჟიმში ჩაერთვნენ. გარდა ამისა, გაესაუბრნენ კურსდამთავრებულებსაც, რომლებმაც დაუდასტურეს ის სიკეთეები, რომლებიც მათ კოლეჯიდან მიიღეს.

შემდეგი კითხვა განმავითარებელი შეფასების საკითხს ეხებოდა. კერძოდ, ქალბატონ შორენას აინტერესებდა, თუ რა სახით იყო განმავითარებელი შეფასების შედეგები წარმოდგენილი, რაზეც ქალბატონმა ქეთევანმა უპასუხა, რომ განმავითარებელი შეფასება ძირითადად ზეპირსიტყვიერად იყო. პროფესიულ განათლებაში ფაქტობრივად არაფერი არ ხდება განმავითარებელი შეფასების გარეშე. სტუდენტების თქმით, მათ მასწავლებლები ძალიან უდგანან გვერდში და ყოველ ჯერზე აძლევენ განმავითარებელ შეფასებას ზეპირსიტყვიერად. ამას გარდა, არსებობს გარკვეული ჩანაწერებიც, თუმცა განმავითარებელ შეფასებას ძირითადად მაინც ზეპირსიტყვიერი სახე აქვს.

რადგანაც სტუდენტთა დიდი ნაწილი სწავლასთან ერთად მუშაობს, ქალბატონი შორენა დაინტერესდა, დასაქმება ხელს ხომ არ უშლიდათ მათ სწავლების პროცესში. ქალბატონმა ქეთევანმა განაცხადა, რომ დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტებს, თუნდაც ლექციების დანიშვნის დროით. როგორც სტუდენტები ხსნიან, სამუშაოზე მიღებული პრაქტიკული გამოცდილება და კოლეჯში ნასწავლის კომბინაცია უკეთეს შედეგს იძლევა.
პრეზენტაციის წარმდგენის თქმით, კოლეჯმა თავად კურსდამთავრებულთა სურვილის შესაბამისად, შეიმუშავა პროფესიული გადამზადების პროგრამები. ეს პროგრამებია: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვებთან მუშაობა, გერიატრიული ასისტენტი, კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა. დასახელებული მიმართულებები ფაქტობრივად კოლეჯის პროგრამის ნაწილია, ამიტომ ქალბატონი შორენა დაინტერესდა, თუ რით იყო გამოწვეული დამატებით მომზადება-გადამზადების პროგრამების საჭიროება. რაზეც გამოეხმაურა თავად კოლეჯი, რომლის წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ აღნიშნული თავად დამსაქმებლის/კურსდამთავრებულების მოთხოვნით იყო შემუშავებული. ეს კურსდამთავრებულები, რომლებმაც აღნიშნული გადამზადების პროგრამები მოითხოვეს, არ არიან ამ სპეციალობების და აქვთ სხვა სპეციალობა.

ნანა ყუფუნიამ კომენტარი გააკეთა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის საკითხზე, რაშიც სიტყვათა კომბინაცია არამართებულია. მან აღნიშნა რომ აღნიშნული პოზიცია მოხსენიებული უნდა იქნას ან როგორც "ადამიანური რესურსების მენეჯერი" ან "ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი". ამის შემდეგ ქალბატონი ნანა ადამიანური რესურსების დოკუმენტს შეეხო. როგორც ნახსენები იყო ადამიანური რესურსების მართვის დებულებით და შინაგანაწესით გამჭირვალობა, კვალიფიციური კადრების მოზიდვა არის უზრუნველყოფილი. ქალბატონი ნანა დაინტერესდა, თუ სად იყო ასახული აღნიშნული შინაგანაწესში. მას გამოეხმაურა ალინა კუპრავა, რომელმაც აღნიშნა, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებიც არის გარკვეული კუთხით განხილული შინაგანაწესში და როგორც კი გახდება იგი კოლეჯში დასაქმებული პირი, იქიდან მოყოლებული საქართველოს მთელი შრომის კოდექსით განსაზღრული კომპონენტი არის შინაგანაწესში ჩადებული, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობების ყველა დეტალი. შემდეგ ქალბატონი ნანა ადამიანური რესურსების მართვის დებულებასა და სტანდარტში პირდაპირ მითითებულ პოლიტიკის დოკუმენტს შორის განსხვავების საკითხით დაინტერესდა. პასუხი ჩამოაყალიბა ქალბატონმა ალინამ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს ადამიანური რესურსების მართვის დებულება, რომელშიც პოლიტიკის ნაწილიც არის ინტეგრირებული. იქ წარმოდგენილია კოლეჯის ხედვა, თუ როგორ ფიქრობს ახალი კადრების მოზიდვას, მათ დასაქმებას და შენარჩუნებას. ერთი სიტყვით, სწორედ ამ ადამიანური რესურსების მართვის დებულებაშია მოთავსებული სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები.

ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

1.2.1.(3) კოლეჯმა უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის ვადების შესაბამისობაში მოყვანა დირექტორის 2022 წლის 19 მაისის N146 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 23.05.2022 – 23.08.2022 (3 თვე).

5.1.2.(3) კოლეჯმა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება-შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან, დირექტორის 2022 წლის 19 მაისის N146 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 23.05.2022 – 23.08.2022 (3 თვე).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

1.1.1.(2) რამდენადაც კოლეჯი პრაქტიკულად ახორციელებს მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებსაც, სასურველია მისიაში აისახოს კოლეჯის საქმიანობის ეს მიმართულებაც - ზრუნვა უწყვეტი განათლების დასანერგად.

1.1.1.(3) რამდენადაც კოლეჯს მისიით გაცხადებული აქვს, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის სხვა პროგრამებსაც ახორციელებს (კბილის სატექნიკო საქმე; აღმზრდელი; ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა), სასურველია ხედვაში ჩანდეს განვითარება ამ პროგრამების მიმართულებითაც, ასევე ჩანდეს მიდგომები, რითაც კოლეჯი ფიქრობს მისიით დასახული მიზნების რეალიზებას. სასურველია ხედვაში აისახოს პერსონალის განვითარების მიმართ დამოკიდებულებაც, რაც მათში მეტ მოტივაციას გამოიწვევს. განმავითარებელი რეკომენდაცია: რამდენადაც კოლეჯის მისიაში საუბარია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კვალიფიციური, კომპეტენტური კადრების მომზადებაზე, სასურველია ღირებულებებში ინოვაციების მხარდაჭერაზეც იყოს საუბარი.

1.2.1.(3) სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გადაიხედოს წარმოდგენილი მიზნები, მიღწევის ამოცანები, აქტივობები და ინდიკატორები და მათი შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნას კოლეჯის მეთოდოლოგიით განსაზღვრული მიდგომები ფორმულირებასთან დაკავშირებით (კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური).

5.1.1.(2) კოლეჯის შინაგანაწესში არის მუხლები, რომლებიც გვამცნობს, რომ: 37.2. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, პერსონალს გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული

შემთხვევებისა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშულებებით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ კოლეჯის დირექტორის თანხმობის შემთხვევაში; 37.3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობისათვის, გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა, პერსონალმა ან საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს. ექსპერტთა მოსაზრებით სასურველია ჩანაწერს იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალური რესურსით სარგებლობის უფლების გაცემა შესაძლებელია მხოლოდ დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, დაემატოს სხვა პასუხისმგებელი პირიც, რომელსაც დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში უფლება ექნება საჭიროების შემთხვევაში გასცეს თანხმობა, რესურსით სარგებლობის შესახებ. ექსპერტთა აზრით ასეთი ჩანაწერი უფრო მოქნილს გახდის პროცესს.

განმავითარებელი რეკომენდაციები მეორე სტანდარტის მიხედვით პროგრამასთან "სასტუმრო მომსახურება" მიმართებით:
2.2.1 (1) სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ საშუალება ინდივიდუალურად იმუშაონ პროგრამაში სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად.
2.2.1 (1) სასურველია სადემონსტრაციო კუთხის მოწყობა დაწესებულებაში, რომელიც სასწავლო პროცესში სიმულაციური ფორმატით იქნება ჩართული.

ალინა კუპრავამ წარადგინა პროგრამები, რომლებიც კოლეჯში არსებობს. თითოეული პროგრამის წარდგენის შემდეგ კომენტარები გააკეთეს შესაბამისი დარგის ექსპერტებმაც. პროგრამაზე "კბილის სატექნიკო საქმე", დარგის ექსპერტმა შორენა უზუნაძემ, პროგრამაზე "აღმზრდელი", დარგის ექსპერტმა ქეთევან ღვანიძემ მადლობა გადაუხადეს ქალბატონ ალინას სრულყოფილი პრეზენტაციისთვის, რადგან მათ დასამატებელი აღარაფერი ჰქონდათ.

პროგრამის "ფარმაცია (სააფთიაქო)" დარგის ექსპერტმა ნანა ვერულაშვილმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული მოთხოვნითაა განპირობებული ამ დარგის არჩევის მაღალი მაჩვენებელი. განსაკუთრებით დედაქალაქშია ფარმაცია ძალიან მოთხოვნადი პროფესია, ბევრი დიდი ფარმაცევტული კომპანია ითხოვს კადრებს და ზოგჯერ თვითონაც ამზადებენ მოკლე დროის განმავლობაში შემდგომ დასაქმების მიზნით. აქედან გამომდინარე, არაა გასაკვირი ის, რომ დიდ კვოტებს ითხოვენ თავად პროფესიული დაწესებულებები. ხელშეკრულება ისეთია, რომ თვითონ დამსაქმებლები ამზადებენ სტუდენტებს თავისი ფირმებისთვის. რაც შეეხება დაწესებულებას, მისი ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და ადამიანური რესურსები ბრწყინვალეა. ქალბატონი ნანა ლექციებსაც დაესწრო, სადაც ასევე მოწესრიგებული სიტუაცია დახვდა.

"სასტუმრო მომსახურეობის" პროგრამაზე დარგის ექსპერტმა ზაირა ბერიძემ ინფორმაცია მხოლოდ პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით დაამატა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტები კომპანიის წარმომადგენლებსაც გაესაუბრნენ. აღმოჩნდა, რომ ისინი იცნობდნენ პროგრამას და მზად არიან იმისთვის, რომ ის კონკრეტული პრაქტიკული კომპონენტები, რომლებიც მოიაზრება მათ ობიექტზე, იქნება შესრულებული და ხელმისაწვდომი. რაც მთავარია, სტუდენტები იქნებიან უზრუნველყოფილნი, რომ შეუფერხებლად განახორციელონ პრაქტიკა.

პროგრამაზე "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან ინტერვიუირება განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელთან. გასაუბრება ადგილზე წარიმართა. პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური კადრი და სრულადაა სასწავლო პროცესში ჩართული. ამასთან, იგი დაწესებულებას IT ინფრასტუქტურის გამართვაში ეხმარება. გარდა ამისა, ინტერვიუირება პროფესიულ სტუდენტთანაც განხორციელდა, გამოიკითხა მისი საჭიროებები. ამასთან, დაწესებულებას დიდი გარემო აქვს გამოყოფილი, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესი,

აქვეა განთავსებული პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსები. ეს ყოველივე იდეალურ გარემოს ქმნის, როგორც სწავლისთვის, ისე პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისთვის.

პროგრამის "საექთნო საქმე" დარგის ექსპერტმა თათია კაციტაძემაც გააკეთა კომენტარი შესაბამისი პროგრამის წარდგენის შემდეგ. მან აღნიშნა, რომ ქალბატონმა ალინამ ამომწურავად შეაფასა პროგრამის საკვანძო საკითხები და თავად ვერიფიკაციის საკითხს შეეხო. პროგრამის ვერიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტში გათვალისწინებული იყო მითითებები და აღნიშნული სამუშაო უკვე შესრულებული იყო. მისი რწმენით, ვერიფიკაციის პროცესი შემდგომაც იგივე ინერციით გაგრძელდება, რაც სასარგებლოა პროგრამისთვის და კიდევ უფრო კარგ შედეგებზე გაიყვანს.

პროგრამების განხილვის ბოლოს კიდევ ერთი კითხვა დასვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ. რადგანაც აღნიშნულ პროგრამებს პრაქტიკული კომპონენტი უფრო მეტი აქვს ვიდრე თეორიული, საინტერესოა, როგორ ახერხებდა დაწესებულება პანდემიის პირობებში ამ პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რაზეც პასუხი ალინა კუპრავამ გასცა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, პრაქტიკული კომპონენტი უმეტესად გაჩერებული იყო, თუმცა, მინისტრის ნებართვა როგორც კი გამოიცემოდა, პრაქტიკული სწავლების განხორციელებას უმალ უბრუნდებოდნენ სტუდენტები, რაც აისახა კიდეც პროგრამების განხორციელების ვადებზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. მათ კითხვები არ ჰქონიათ. ამის შემდეგ, მან სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელებს გადასცა. დაწესებულების წარმომადგენლებმა ყველას დიდი მადლობა გადაუხადეს, განსაკუთრებით ექსპერტებს, კვალიფიციური რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის და ობიექტური შეფასებისთვის.
სხდომის თავმჯდომარემ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ავტორიზაციის საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას (ს/კ: 400023595) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 4 აგვისტო.

პირველი საკითხის განხილვის შემდეგ ნანა ყუფუნიამ შეხვედრა დატოვა.

2. შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ შორენა ჯაფარიძემ წარმდგენ ექსპერტებს: თეა ლილუაშვილს, მაია ომიაძეს და თათია კაციტაძეს სთხოვა, დაეწყოთ პრეზენტაციის წარდგენა.
საკითხი წარადგინა თეა ლილუაშვილმა. მან დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ვიზიტი განპირობებული იყო დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლით, მისი რე-ავტორიზაციის საჭიროების მიზნით. აქვე აღნიშნა, რომ ამ ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის თავმჯდომარე თავად იყო, ქალბატონი მაია განათლების მიმართულების ექსპერტად იყო, ხოლო ქალბატონი თათია გახლდათ დარგის ექსპერტი. აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა 23, 24 და 25 მაისს უშუალოდ კოლეჯში. საკითხის წარმდგენმა აღნიშნა, რომ კოლეჯი ამ დროისთვის მხოლოდ ერთ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა.

ქალბატონმა თეამ საუბარი კოლეჯის საუკეთესო გამოცდილებით განაგრძო. მან აღნიშნა, რომ კოლეჯი თანამშრომლობს გერმანიის ქ. პირმასენსის მუნიციპალიტეტის კლინიკასთან და კურსდამთავრებულებს საშუალება აქვთ, თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისად, კოლეჯის დასრულების შემდეგ დასაქმდნენ აღნიშნულ კლინიკაში. გარდა ამისა, კოლეჯი კორპორაცია ევექსთანაც თანამშრომლობს, რომელიც მაღალი შეფასებით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის დაფინანსებას უზრუნველყოფს. ამასთან, სწავლის პერიოდში სტუდენტები ევექსის კლინიკაშიც იყვნენ დასაქმებულები. ქალბატონი შორენა დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტი იყო დაფინანსებული, რასთან დაკავშირებითაც ქალბატონმა თეამ აღნიშნა, რომ ექსპერტები მხოლოდ შვიდ სტუდენტს გაესაუბრნენ, რომელთაგან მხოლოდ ერთს უფინანსდებოდა სწავლა. მან ისიც აღნიშნა, რომ 2020-ის მიღებიდან სტუდენტებს უკვე სახელმწიფო დაფინანსება ჰქონდათ და მხოლოდ სამას ლარს იხდიდნენ სამწლიანი პროგრამის განმავლობაში. რაც შეეხება მიგნებებს, რაც გაკეთდა ვიზიტის განმავლობაში, პრეზენტატორმა სამ ნაწილად დაყო: გამოვლენილი ხარვეზები, შესაბამისობის რეკომენდაციები და განმავითარებელი რეკომენდაციები.

გამოვლენილი ხარვეზები:
3.2.1: დარღვეულია სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების ვადები სტატუსის მოპოვებასთან მიმართებაში და აცდენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ჩარიცხვის პერიოდს. შესწავლილი სასწავლო ხელშეკრულებები ნაცვლად მინისტრის მიერ განსაზღვრული ჩარიცხვის ვადებისა (01.10.2021-10.10.2021) დათარიღებულია 2021 წლის 8 ნოემბრით, ხოლო სარეგისტრაციო ჟურნალში დარეგისტრირებულია 2021 წლის 16 დეკემბრით.

5.2.2: დაწესებულების საქმისწარმოება არ შეესაბამება კანონმდებლობას (საქართველოს პრეზიდენტის N414 ბრძანებულება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესები", საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი).
დაწესებულება გონივრულ ვადებში არ ასახავს შიდა მარეგულირებელ აქტებში კანონმდებლობით გათვალისწინებულ ცვლილებებს და საჭიროების შემთხვევაში არ მოუხდენია საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებების ინფორმირება.

გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია:
1.1.1. კოლეჯის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.
1.2.2. კოლეჯმა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.
დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნული კომპონენტის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
3.1.1.(1) დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ჩარიცხვის პროცედურა ადაპტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით გაწერილ ვადებთან და მოთხოვნებთან. ამასთან, როგორც საჯარო დოკუმენტი ნათლად იძლეოდეს წარმოდგენას შერჩევის პროცედურების, შერჩევის ალტერნატიული მეთოდებისა და აპელაციის მექანიზმებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნული კომპონენტის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. დაწესებულებამ უზრუნვეყოს რეგულაციის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამიობა პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.
3.2.1(3) პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს კანონმდებლობით განსაზღრულ ვადებში, სარეგისტრაციო ჟურნალში ხელშეკრულებები გატარდეს ხელმოწერისთანავე.
4.1.2: შინაგანაწესი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს შრომის კოდექსთან და მასში აისახოს დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები, დაწესებულებამ უზრუნველყოს ცვლილებების გაცნობა კოლეჯის პერსონალისთვის. რეგულაციები მოვიდეს შესაბამისობაში მთავრობის დადგენილებასთან „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ". 2.პერსონალის მოზიდვა-შერჩევის პროცესი უნდა არეგულირებდეს სამუშაოზე აყვანის გამჭირვალე და გაწერილ პროცედურას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს კვალიფიციური და შესატყვისი კადრების მოზიდვას და შერჩევას; პერსონალის შერჩევის პროცედურა უნდა იყოს მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე. 3.დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი მტკიცებულებების განთავსება პერსონალის პირად საქმეში.
4.2.1 დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების მექანიზმები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მექანიზმი იყოს გამჭირვალე, მკაფიო და ნათელი. დადგენილი წესი და შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პერსონალისთვის. ზემოაღნიშნულ მექანიზმში განსაზღვრული უნდა იყოს: შეფასების სახე, შეფასების პერიოდი, შემფასებელი/შემფასებლები და სხვა. შემფასებელი/შემფასებლები განისაზღვრება პერსონალის ფუნქციებიდან გამომდინარე. ეს შესაძლოა იყოს: შესაბამისი სტრუქტურული პირი/პირები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვა. პერსონალის საქმიანობის შეფასება უნდა ატარებდეს ფორმალურ და სისტემატურ ხასიათს. თანამშრომელთა საქმიანობის და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი უნდა მოხდეს დაწესებულების მიერ წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. დაწესებულება უნდა ახდენდეს მონიტორინგის შედეგების

ანალიზს, რის შედეგებსაც უნდა იყენებდეს პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის. ასევე გაიწეროს მექანიზმი, თუ როგორ ახდენს დაწესებულება ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და მათ ეფექტურად ჩართვას სამუშაო პროცესში. ზემოაღნიშნულ მექანიზმში ასახული უნდა იყოს პირი/პირები, რომლებიც ჩართულები იქნებიან ინტეგრაციის პროცესში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნული კომპონენტის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

5.1.1 დაწესებულებამ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურება.

5.2.1. დაწესებულებამ მოიპოვოს თანხმობა პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისგან პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე. დაწესებულებამ შეიმუშავოს შიდა ხარისხის უზრუნვეყოფის მექანიზმები, რომელიც შეაფასებს როგორც ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, ასევე პროცესების ეფექტიანობას.

5.2.2 დაწესებულებამ უზრუნველყოს საქმისწარმოების კანონმდებლობასთან შესაბამისობა (საქართველოს პრეზიდენტის N414 ბრძანებულება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესები“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი). დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დანერგვა; დაწესებულებამ გონივრულ ვადებში ასახოს შიდა მარეგულირებელ აქტებში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელი უწყებების ინფორმირება. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც 2022 წლის 31 დეკემბრამდე დანერგავს ელექტრონულ საქმისწარმოებას.

5.2.3. პროგრამასა და რეგულაციებში ასახული ცვლილებები გონივრულ ვადაში განახლდეს კოლეჯის ვებგვერდზე. რეგულარულად (ყოველწლიურად ან განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად) განახლდეს და კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსდეს კატალოგი.

მეხუთე დონის პროგრამა პროგრამა „საექთნო განათლება“ ექსპერტების მიერ შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. შესაბამისობის რეკომენდაციები პროგრამასთან მიმართებით:

2.1.1. დაწესებულებამ უზრუნველყოს კოლეჯის მარეგულირებელი აქტების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებასთან. დაწესებულებამ უზრუნვეყოფს პროფესიული პროგრამის დანართების (მოდულების) მოქმედ ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა.

2.2.1. დაწესებულებამ ნათლად განსაზღვროს და სხვადასხვა რეგულაციებში შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტის განთავსება. უზრუნვეყოს მოდულებში განსაზღვრული ყველა სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში მატერიალური ან ელექტრონული სახით.

2.4.2.(4) კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული ჩანაწერები მოვიდეს შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტის ჩანაწერებთან და განმსაზღვრელი შეფასებისას გამოყენებული იქნას მხოლოდ კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება. დაწესებულებამ განსაზღვროს მტკიცებულებების აღრიცხვის ფორმა და ვადები.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:

1.2.1: სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნებისთვის რეკომენდებულია თითოეულ აქტივობაზე განსაზღვრული იყოს კონკრეტული დროის პერიოდი, როცა იგეგმება შესაბამისი აქტივობა (მაგალითად შესრულების თვე/თვეები). ასევე დაკონკრეტდეს რომელი თვიდან რომელ თვემდე პერიოდს მოიცავს სასწავლო წელი.

3.1.1(2) ასევე მობილობის წესში დაზუსტდეს მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების ყველა შესძლო უფლებამოსილება, მათ შორის პროგრამაზე დაშვების წინაპირობისა და

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი, შესაბამისი დონისა და კვალიფიკაციის თავსებადობის გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის N198/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესის“ შესაბამისად. განმავითარებელი რეკომენდაცია: მიღებული განათლების აღირების წესი ადაპტირდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღირების წესთან“ და გაიწეროს ფორმალური განათლების აღიარების საფუძველი, ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები, განცხადების წარდგენისა და წარმოების ვადები, კომისიის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები.

3.1.1.(3) ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია იმსჯელოს განმეორებითი შეფასებისათვის დადგენილ ვადებთან დაკავშირებით, ვინაიდან 1 კვირის ვადაში 3-ჯერადი გადაბარება ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტისათვის სწავლის შედეგის ადეკვატურ მიღწევას. ამასთან განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის ვადები ერთმანეთთან უზუსტობაშია და უპრიანია დაწესებულებამ უზრუნველყოს ზემოაღნიშნული მექანიზმების ვადების შესაბამისობა, რათა პროფესიულ სტუდენტს არ შეეზღუდოს იმ მოდულზე დაშვების უფლება, რომელიც ე.წ. წინაპირობიანი მოდულის შემდეგ ხორციელდება. განმავითარებელი რეკომენდაცია: პროფესიულ სტუდენტთა გასაჩივრების წესში ასევე გაიწეროს საჩივრის განხილვისა და მასზე რეაგირების ვადები და პროცედურები, კომისიის უფლებამოსილების, ფორმირებისა და საქმიანობის მექანიზმები. განმავითარებელი რეკომენდაცია: ექსპერტთა მხრიდან ყურადღება გამახვილდა პროფესიულ განათლებაში სემესტრისა და კურსის ცნებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ყურადღება გაამახვილოს პროფესიული განათლების კანონით გაწერილ ტერმინთა განმარტებაზე და შესაბამისობაში მოიყვანოს შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები.

3.2.1.(4) დაწესებულებამ შეიმუშაოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ინიცირების პროცედურას, განხილვის ვადებს და პირობებს, დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ვადებს, რესურსებსა და ინფორმირების საშუალებებს.

3.2.1.(5) პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მეთოდოლოგიის თანახმად, კითხვარები არ არის ადაპტირებული დღევადელ შრომის ბაზრის მოცემულობასთან, შესაბამისად დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია კითხვარები იყოს კვლევის მიზნის რელევანტური, გაიწეროს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, კვლევის ჩატარების პერიოდები, ძირითადი პარამეტრები, რაც მოკვლეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად და მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

3.2.2.(3) დაწესებულებამ გაწეროს თუ რა მექანიზმებით მოხდება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირება არსებული ვაკანსიების შესახებ და ვინ იქნება პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი, განსაზღვროს კვლევის ჩატარების პერიოდ(ებ)ი, ძირითადი პარამეტრები, რაც მოკვლეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად. კვლევების შედეგად დაფარულ იქნას ისეთი პარამეტრები, როგორიცაა, დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული, დასაქმდა თუ არა იმ სპეციალობით რაც დაამთავრა, კმაყოფილია თუ არა დაწესებულებაში შეძენილი უნარებით, იყენებს თუ არა მათ სამუშაო პროცესში და ა.შ. ამ მიზნისთვის სასურველია დაწესებულება აწარმოებდეს და მუდმივად ანახლებდეს კურსდამთავრებულთა ბაზას.

3.2.2.(4) პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მეთოდოლოგიის თანახმად, კითხვარები არ იძლევა ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის უწყვეტი ციკლის შეფასებას. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია კითხვარები იყოს კვლევის მიზნის რელევანტური, გაიწეროს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული,

კვლევის ჩატარების პერიოდები, ძირითადი პარამეტრები, რაც მოკვლეული იქნება აღნიშნული გამოკითხვების შედეგად და მიღებული მონაცემები უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას. დაწესებულება სასურველია აკეთებდეს კვლევებიდან მიღებული მონაცემების ანალიზს და პროცესების გაუმჯობესების მიზნით რეაგირებდეს მათზე სათანადოდ.

4.1.2. შინაგანაწესის და შრომითი ხელშეკრულების ჩანაწერები სამუშაო საათების შესახებ მოვიდეს შესაბამისობაში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც 2022 წლის 21 სექტემბრამდე მოახდენს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტაციის რევიზირებას და განახლებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენას.

5.1.1 იჯარის ხელშეკრულების შეთანხმება და ქვეიჯარის ხელშეკრულება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოეკრას თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის მიხედვითაც 2022 წლის 30 ივნისამდე უზრუნვეყოფს შრომის უსაფრთხოების სერთიფიცირებული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.

განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამასთან „საექთნო საქმე“ მიმართებაში:

2.2.1. შემუშავდეს რეგულაცია, სადაც განისაზღვრება საჭიროების შემთხვევაში თუ ვის მიერ და როგორ მოხდება რესურსების ცვლილება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება. გამიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. რეგულაციაში ან/და ხელშეკრულებით განსაზღვროს ვინ ითავსებს პროგრამის ხელმძღვანელი ფუნქციებს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც 2022 წლის 21 სექტემბრამდე დაწესებულება უზრუნვეყოფს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დოკუმენტაციის რევიზირებას და განახლებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენას.

2.3.1. მოხდეს დამსაქმებლის და კურსდამთავრებულთა კითხვარების სრულყოფა, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით მომზადდეს ანგარიშები/რეკომენდაციები. ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში მოხდეს აღნიშნულის დოკუმენტირება.

2.4.1.(4) დაწესებულებამ სრულყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია, გაითვალისწინოს სტატუსის აღდგენის და მობილობის შემთხვევები, განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართული პირები, დამტკიცების ვადები, ასევე უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას.

2.4.1.(6) დაწესებულებამ უზრუნველყოს სახარჯი მასალების დროული და სრულყოფილი აღრიცხვა; პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დაერთოს დანართები,სადაც აღნიშნული იქნება ინფორმაცია კლინიკური მოდულების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ; განისაზღვროს რომელ ჰოსპიტალში რომელი კლინიკური მოდულის სწავლება განხორციელდება.

2.4.2.(4) დაწესებულებამ პრაქტიკაში განახორციელოს ვერიფიკაცია.

ხარვეზებისა და რეკომენდაციის მიმოხილვისას საბჭოს წევრებს ექსპერტების მიმართ გარკვეული კითხვები ჰქონდათ. ქვემოთ მოცემულია ასეთი კითხვები, პასუხები და პრეზენტაციის მიმდინარეობისას გაკეთებული კომენტარები.

3.2.1-ზე საუბრისას ჩაერთო ქალბატონი შორენა და აღნიშნა, რომ ეს იყო ძალიან მნიშნელოვანი საკითხი, რადგან ხარვეზად ჰქონდათ გატარებული. რის შემდეგაც ქალბატონი თეა უშუალოდ ხარვეზს შეეხო და აღნიშნა, რომ სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებებს მხოლოდ წელი ეწერა, მათგან მხოლოდ ერთი იყო 8 ნოემბერით გატარებული სარეგისტრაციო ჟურნალში (სწავლა რა დროსაც დაიწყო) და დანარჩენები გატარებული იყო 16 დეკემბრის თარიღით.

აქ კვლავ ჩაერთო ქალბატონი შორენა და აღნიშნა, რომ დასკვნას ყურადღებით გაეცნო, რეგულაციები ფაქტობრივად შეუსაბამოა მინისტრის ბრძანებასთან. ქალბატონმა თეამ დააზუსტა, რომ ისეთი საკითები, როგორიცაა მიღებასთან დაკავშირებული ფორმები რეგულაციაში არ იყო ასახული. ძველი რეგულაცია აქვთ, რომელიც მოქმედებდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N42 ბრძანების ამოქმედებამდე, რომელიც ეხება პროფესიულსაგანმანათლებლოპროგრამაზე ჩარიცხვისწესისადაპირობებს. ამ შიდა რეგულაციაში სრულად სხვა რამ უწერიათ, მაგალითად ის რომ ტესტირებას თვითონ ატარებენ და როგორი იქნება ბარიერი. ის რასაც N42 ბრძანება განსაზღვრავს არაფერი არაა ასახული რეგულაციაში მაგრამ რასაც ბაზა ითხოვდა (ელექტრონული სისტემა) დაწესებულებას ყველაფერი გაკეთებული ჰქონდა. ქალბატონმა შორენამ დააზუსტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას რეგულაციებში არ ქჰონდა ასახული N42 ბრძანებით განსაზღვრული პირობები, პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვა სწორედ ამ ბრძანებით განსაზღვრული წესებით განხორციელდა, ვინაიდან ელექტრონულ სისტემაში სხვაგვარად ვერ შეიტანდნენ მონაცემებს.

ამის შემდეგ საბჭოს წევრმა ქრისტინა რზგოევამ ექსპერტებს მიმართა კითხვით, გაესაუბრნენ თუ არა ისინი სტუდენტებს, თუ როდის დაამყარეს კავშირი დაწესებულებასთან, ანუ როდის დაიწყო რეალურად სწავლა. ქალბატონმა თეამ უპასუხა, რომ სწავლა 8 ნოემბრიდან დაიწყო, თუმცა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილი დეკემბრით არის დათარიღებული, რაც ხარვეზად დაფიქსირდა. ხარვეზის მიზეზის მოკვლევამ საბჭოს წევრები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქმე გვქონდა ტექნიკური პრობლემასთან, კერძოდ სწავლის თარიღის არასწორად დაფიქსირებასთან, მაშინ როდესაც სასწავლო პროცესი დაიწყო მინისტრის ბრძანებით დათქმულ ვადებში. ამით წარმოების წესი არ დარღვეულა და სტუდენტებს ზიანი არ მისდგომიათ. აქ ჩაერთვნენ დაწესებულების წარმომადგენელები და ტექნიკური ხარვეზის არსებობის მართებულობა დაადასტურეს. ამასთან აღნიშნეს, რომ ხელშეკრულება არ იყო სტატუსის მოპოვების ერთადერთი საფუძველი. მინისტრის ბრძანებით დადგენილი თარიღებისა და ვადების სრული დაცვით მოხდა მათთვის სტატუსის მინიჭება, რაც იყო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი. ეს ბრძანება გაფორმებულია იმ თარიღებით, რომლითაც მიეწოდათ მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული რეიტინგული სიები, მათ შორის მეორადი ჩარიცხვის ბრძანებები. ამ ნაწილში თარიღების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ეს ბრძანებები და მათ მიერ მინისტრის ბრძანების საფუძველზე გამოცემული კოლეჯის დირექტორის ბრძანებები იყო საფუძველი ხელშეკრულებების გაფორმების. თარიღი რომელ ხელშეკრულებაზე იყო დატანილი, ის უნდა გამხდარიყო ასე ვთქვათ შაბლონი და მის მიხედვით უნდა მომხდარიყო ყველა ხელშეკრულებების გაფორმება. მაგრამ მარეგისტრირებლის მიერ მოხდა ტექნიკური ხარვეზის დაშვება და მას თვითონვე უჭირს იმის ახსნა, თუ საიდან მოვიდა “16 დეკემბერი”. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან დაკავშირებით წარმოადგინა თავიანთი გეგმა. დაწესებულებამ ისიც აღნიშნა, რომ ამ ხარვეზმა ისინი დაარწმუნა რომ ადმინისტრაციის ყველა წევრი ან ამ პროცესში ჩართული ყველა წევრი ვერ გააკონტროლებს ყველა საფეხურს, იმას, რაც უნდა გაიაროს ფორმალურმა მხარემ სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. მათ ასევე შეიმუშავეს ინსტრუქცია, რომელიც ზუსტად განსაზღრავს რა რეკვიზიტები უნდა შეიტანოს უშუალოდ ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელმა პირმა, როგორ უნდა გაატაროს, ვინ არის პასუხისმგებელი ჟურნალზე, მის დალუქვაზე, მასში შეტანილი ინფორმაციაზე, ასევე, რა პასუხისმგებლობა შეიძლება მოჰყვეს იმ შემთხვევაში თუ მსგავსი ხარვეზი კიდევ გამოვლინდება. რაც შეეხება მეორე ნაწილს, რეგულაციაში ვიზიტის დრომ დაწესებულებას ნამდვილად არ ჰქონდა შეტანილი, რაც გათვალისწინებული იყო, ბრძანებების გამოცემის თარიღი თუ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც უნდა წარმოადგინოს სტუდენტმა დაწესებულებაში. ყველა ეს დოკუმენტი ვიზიტის დასრულების შემდეგ დაექვემდებარა რევიზირებას და უკვე ამ დროისთვის მოყვანილია რეგულაციაში,

დაამატა დაწესებულების წარმომადგენელმა. მართალია რევიზირებული დოკუმენტების შემოწმება ვიზიტის შემდეგ არ ექვემდებარება შემოწმებას, თუმცა, ყოველივე ეს რეკომენდაციების შემდეგ იქნა მაშინვე გათვალისწინებული. დაწესებულების კომენტარის შემდეგ, ქალბატონმა შორენამ აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდეგ შესრულებულ დოკუმენტებს საბჭო არ ითვალისწინებდა, მაგრამ მან მადლიერება გამოხატა იმისთვის, რომ დაწესებულებამ გაანალიზა ეს პრობლემები. მან ისიც აღნიშნა, რომ დასკვნის წაკითხვისას ძალიან კარგად დაინახა ის პრობლემები, რომელიც დაწესებულებას აქვს. პროფესიულ განათლებაში იმდენად ხშირად ხდება გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაზეც დაწესებულებებმა უნდა მოახდინონ შესაბამისი რეაგირება, კერძოდ ასახონ დოკუმენტაციაში, შეიტანონ ცვლილებები და ა.შ. როგორც სჩანს ამ დაწესებულებას არ აქვს ამ ცვლილებებზე რეაგირების ექეფტური მექანიზმები, რაც იწვევს და მომავალშიც გამოიწვევს მსგავსი ტიპის ხარვეზების არსებობას. ეს ერთ-ერთი ხარვეზია, რომელიც ქალბატონმა თეამ წარმოადგინა, დასკვნაში ქვემოთ არის კიდევ გამოკვეთილი გარკვეული ხარვეზები, რომლებიც სწორედ ამ თემას ეხება. ქალბატონმა შორენამ საკუთარი რეკომენდაციაც მისცა დაწესებულებას, რაც შემდეგში მდგომარეობდა: დაწესებულებამ შეიმუშაოს ცვლილებებზე რეაგირების, მათი დოკუმენტაციაში ასახვის და შემდგომ პრაქტიკაში განხორციელების ეეფექტური მექანიზმები. პრაქტიკულად ექსპერტების მიერ დაფიქსირებული ყველა ხარვეზი სწორედ ამ მიზემის გამო არის. მაგალითად, კიდევ ერთი პრობლემა, იქ სადაც მოდულებში უნდა შეეტანათ გარკვეული ცვლილებები, დაწესებულებას კი არც ეს აქვს გაკეთებული. ქალბატონმა შორენამ აღნიშნა, რომ ხარისხის ცენტრი ყოველთვის გზავნის ინფორმაციას საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცვლილებების შესახემ. მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებებში უნდა იყოს პასუხისმგებელი პირი გამოყოფილი და არსებობდეს მექანიზმები აღნიშნულის დასარეგულირებლად. ქალბატონი შორენას ამ კომენტარს გამოეხმაურა დაწესებულება და აღნიშნა რომ დაწესებულებაში საუბრობდნენ ამ საკითხზე. საგანმანათლებლო ნაწილში გამოყოფილი იქნება სათანადო პასუხისმგებელი პირები, როგორც ცვლილებების ინფორმირების, ისე ასახვის და შემდგომი მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. ქალბატონმა შორენამ დაამატა, რომ აღნიშნულის გაკეთება აუცილებელი იყო დაწესებულებისთვის, მათი საქმიანობის სფეროს მოწესრიგებულობისთვის. ამის შემდეგ, მან ქალბატონ თეას სთხოვა პრეზენტაციის წარდგენის გაგრძელება. ქალბატონმა თეამ შემდგომ ხარვეზზე საუბრისას აღნიშნა, რომ იგივე წესთანაა ბმაში 5.2.2. სტანდარტთან გამოკვეთილი ხარვეზი.

კითხვები დაისვა შესაბამისობის რეკომენდაციებთან დაკავშირებითაც. 1.1.1. სტანდარტთან მიმართებით, ქალბატონია შორენა დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საჯაროდ ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი ვებგვერდისგან განსხვავებული ფორმით, რადგან ვებგვერდზე ძველი ვერსიაა განთავსებული. ქალბატონმა თეამ განაცხადა, რომ ერთადერთი დოკუმენტი, სადაც მოქმედი მისია იყო წარმოდგენილი, გახლავთ სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი. საიტზე განთავსებული იყო ძველი ვერსია. ხედვა და ღირებულებებიც მხოლოდ სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში იყო განთავსებული და არ ჰქონდათ გასაჯაროებული. რადგან პირდაპირ დოკუმენტი ითხოვს გასაჯაროებას, ამიტომ ექსპერტებს აქვთ, როგორც შესაბამისობის რეკომენდაცია. ქრისტინა რზგოევამ ქალბატონ თეას მიმართა კითხვით, თუ რას ეძახდა თავად საჯაროდ განთავსებას. ქალბატონმა შორენამ დაამატა, რომ სტანდარტის მიხედვით, აღნიშნული უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. იდეალური ვარიანტია, როდესაც დაწესებულების ვებგვერდზეა, მაგრამ ვინაიდან სტანდარტში არაა მკაფიოდ მითითებული, რომ ვებგვერდზე განთავსება სავალდებულოა, დაწესებულებას შეუძლია სხვა ალტერნატივა აირჩიოს. ქალბატონმა თეამ დაამატა, რომ ექსპერტები იმითაც დაინტერესდნენ, თუ მოხდა საჯარო განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან (მაგალითად, სტუდენტებთან), დაწესებულებამ ამის დამადასტურებელი საბუთიც ვერ წარმოადგინა, სწორედ ამიტომ აქვთ ექსპერტებს დასმული საკითხი შესაბამისობის რეკომენდაციებში.

შემდეგი კითხვა, რომელიც ქრისტინა რზგოევას ეკუთვნის, 4.1.2. ქვესტანდარტს უკავშირდება. კერძოდ, პრეზენტატორმა მიუთითა, რომ პერსონალის შერჩევის, მიზიდვის და სამუშაოზე აყვანის გაწერილი პროცედურა არ არსებობს. კითხვა მდგომარეობს შემდეგში: თუ მოიკითხეს ექსპერტებმა ის, თუ როგორ ხდებოდა პერსონალის აყვანა და თუ გადაამოწმეს შესაბამისი დოკუმენტაცია, ის ქრონოლოგია, რომელიც ასახავს, როგორ იცვლებოდა პერსონალის აყვანის პროცესი დროთა განმავლობაში. ქალბატონმა თეამ უპასუხა, რომ არსებული პერსონალი დიდი ხნის განმავლობაშია კოლეჯში დასაქმებული. ქალბატონი ქრისტინა ჩაეძია, კერძოდ, თუ გადახედეს ექსპერტებმა ამ პერსონალის აყვანის დოკუმენტაციას, რადგან დაწესებულებას ექნებოდა თავისი მიდგომა პერსონალის აყვანასთან დაკავშირებით. ქალბატონი ქრისტინას მეორე კითხვა პერსონალის კვალიფიკაციას ეხებოდა, უფრო ზუსტად კი მას აინტერესებდა, დარგობრივი მიმართულებით პერსონალის კვალიფიკაციის მდგომარეობა როგორია. ქალბატონმა თეამ აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტში კიდევ განავრცობდნენ ამ თემას. რადგან ბოლო წლებში პერსონალის შერჩევა არ განხორციელებულა დაწესებულების მიერ, ექსპერტებს მსგავსი დოკუმენტები არ მოუთხოვიათ. ისინი გაეცნენ ხელშეკრულებებს და პირად საქმეებს, საიდანაც გამოიკვეთა, რომ რამდენიმე თანამშრომელთან მეორდებოდა ერთი და იგივე ტიპის პრობლემა. კერძოდ, ეს იყო სამუშაო გამოცდილება, რასაც თვითონვე განუსაზღვრავდნენ დარგის მიმართულებით. ავტობიოგრაფიაშიც არ იკვეთებოდა, რომ ეს გამოცდილება მათ ჰქონდათ და შესაბამისად, შემდგომ შესაძლებელი რომ ყოფილიყო დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა. რაც შეეხება განათლებას, იგივე მიმართულებით ჰქონდათ მიღებული. ქალბატონმა თეამ დაამატა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები საჭიროებს გადახედვას, განსაკუთრებით მასწავლებლებთან მიმართებაში, რადგან ისეთი ჩანაწერები იყო გაკეთებული, მაგალითად, ზოგადი მოდულის მასწავლებლებთან მიმართებაში, რაც პრობლემებს შეუქმნიდათ დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში. ქალბატონმა თეამ გააგრძელა ქალბატონი ქრისტინეს კითხვა და აღნიშნა, რომ სამუშაო გამოცდილებები იყო მოთხოვნილი ყველა მასწავლებლისთვის. ეს მოთხოვნები დოკუმენტაციის თვალსაზრისით ძირითადად დაკმაყოფილებული ჰქონდათ იმ მასწავლებლებს, რომლებიც კლინიკური სწავლების მოდულებში იყვნენ ჩართულნი. თავად სტანდარტი განსაზღვრავს, თუ რა კომპეტენციებს უნდა აკმაყოფილებდნენ კლინიკური სწავლების მოდულებში ჩართული მასწავლებლები, რაც მათ გათვალისწინებული ჰქონდათ. რაც შეეხება იმ მასწავლებლებს, ვინც თეორიულ და ზოგად მოდულებზე შედიოდნენ, ისინი არ იყვნენ შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ხოლო დარგის მიმართულებით განათლება ან/და გამოცდილება ყველას გააჩნდა. პრეზენტატორმა აქვე დაამატა, რომ პრობლემა იყო, ასევე, რეგულაციების თვალსაზრისით. სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნები იყო განსხვავებული, მაგალითად, სხვადასხვა მოცულობით გამოცდილებას ითხოვდა.

ქალბატონმა შორენამ დაწესებულებას გადასცა სიტყვა საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. დაწესებულება პერსონალის შეფასების, მოზიდვის და შერჩევის მექანიზმებს შეეხო. თავის დროზე, დამფუძნებლის მიერ ადმინისტრაციულ კადრებზე პასუხისმგებლობის ნაწილი გადანაწილებულ იქნა დირექტორზე. შესაბამისად, კადრების მოზიდვის, შერჩევის და აყვანის პასუხისმგებლობა დაეკისრა დირექტორს. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, ვინაიდან დაწესებულება მხოლოდ ერთ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა და თანაც სფეროც სპეციფიკურია, ჩაბარდა სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, რომელსაც იმ დროისთვის წარმოადგენდა ყველაზე მსხვილი დამსაქმებლის, ევექსის ქსელის საერთო საექთნო სამსახურის ხელმძღვანელს. შესაბამისად, იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე, რომელზეც ქალბატონი თეა საუბრობს, დაწესებულება ამბობს, რომ აღნიშნულზე ინტერვიუირების დროსაც ისაუბრეს. დაწესებულებამ მათთვის სამწუხარო ინფორმაცია გააჟღერა, რაც გულისხმობდა შემდეგს: ვიზიტამდე გარკვეული ხნით ადრე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, მთლიანად

სასწავლო დეპარტამენტის მიერ მოხდა დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, იმ მიზეზით, რომ მათ კარიერულად ცოტა უფრო მაღალ საფეხურზე გადაინაცვლეს. საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც ამ პირების ხედვით იყო შედგენილი, ამიტომ ამ საკითხთან დასმულ კითხვებზე მათ ექნებოდათ პასუხები, ამის თქმა სურდა დაწესებულების წარმომადგენელს. ამ დროისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები უკვე გადამუშავებულია.

ქალბატონმა შორენამ აღნიშნა, რომ გასაგები იყო დაწესებულების პოზიცია, მაგრამ ცოტა უცნაურია ის, რომ რომელიღაც პოზიციაზე მყოფი ადამიანის წასვლა იწვევს პრობლემებს. დაწესებულება და სტრუქტურა უნდა იყოს ორგანიზებული ისე, რომ ერთი კადრის წასვლა მასზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენდეს. დაწესებულებას შეეძლო არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად აეყვანა ახალი თანამშრომლები.

მეორე სტანდარტის განხილვის დაწყებამდე დაწესებულებამ კომენტარების გაკეთება ითხოვა ჩამოთვლილ ხარვეზებთან დაკავშირებით. პირველ რიგში, შრომის უსაფრთხოების პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებით, დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება გაფორმებული იყო დამფუძნებელ კომპანიასთან და მასში მოიაზრებოდა კოლეჯისთვის შესაბამისი სერვისის გაწევა, თუმცა იმისთვის, რომ უფრო ცხადი ყოფილიყო, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება და ამ ტიპის მომსახურებაზე დამოუკიდებელი ხელშეკრულება გაფორმდა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება. ხოლო პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით იმის აღნიშვნა შეუძლიათ დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ სტუდენტების ხელშეკრულებაში არის მითითებული მათი პირადი ინფორმაცია, თუმცა იქ დაკონკრეტებულია, რომ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მართვის საინფორმაციო სისტემის მიზნებისთვის და მხოლოდ მათი თანხმობით შეიძლება შეფასების ნაწილი გაცემული იყოს, მათ შორის, პარტნიორი ორგანიზაციებისთვის. რაც შეეხება პერსონალის ნაწილს, ამგვარი წინასწარი თანხმობები ხელშეკრულებით ნამდვილად არ იყო გათვალისწინებული. თუმცა დაწესებულებამ შეიმუშავა ფორმა, რომელიც არსებული პერსონალიდან იღებს თანხმობას ინფორმაციის დამუშავებაზე და მხოლოდ საქმიანობის მიზნებით გამოყენების თაობაზე. ახალი პერსონალის შემთხვევაში, ჩანაწერი გაკეთდება ხელშეკრულებაში, სადაც პირი ინფორმირებული იქნება ამგვარი თანხმობის გაცემის და ინფორმაციის შესაძლო დამუშავების პირობების შესახებ. აიტი პროცესების მართვასთან დაკავშირებითაც უკვე შემუშავებულია რეგულაცია დაწესებულების მიერ. პროცედურა ინტერვიუირების დროს, დაწესებულების აზრით, აღწერილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ, თუ როგორ ხდება საჭიროებების გამოვლენა და შემდგომ მათზე რეაგირება.
შემდეგ ქალბატონმა შორენამ ქალბატონ თეას შესაბამისობის გეგმების თაობაზე ჰკითხა. ქალბატონმა თეამ დაადასტურა, რომ ექსპერტები შესაბამისობის გეგმებს გაეცნენ. აქტივობები არ სცილდება ექვს თვიან ვადას, განსაზღვრული ჰყავთ პასუხისმგებელი პირები. უმეტესად შენიშვნები დოკუმენტაციის გადამუშავებას ეხება, ფინანსურ რესურსს დიდად არ მოითხოვს, მთავარია, ადამიანურ რესურსზე იყოს სწორად გადანაწილებული საქმე. შესაბამისად, იმ კომპონენტებზე, რომლებიც ექსპერტებმა გადაიყვანეს შესაბამისობის რეკომენდაციად, დაეთანხმნენ, რომ მათი გაკეთება შესაძლებელია ექვსი თვის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარემ, შემდეგი განმარტება 5.2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მოითხოვა, რადგან აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილების მიღების დროს ასევე ძალიან მნიშნელოვანი იქნებოდა. მექანიზმი, ინფორმირება თუ ვისი რა ვადებში ხდება შიდა რეგულაციებში არ იყო გაწერილი. თუმცა ხარვეზში დატოვების ექსპერტების არგუმენტი იყო თვითონ 42-ე ბრძანების ჩანაწერი, კერძოდ, ის, რომ თვითონ 2021 წლის მიღების დაწყებამდე ეს ინფორმირება უნდა მოეხდინათ, ამიტომ შესაბამისობის გეგმით ახლა ვეღარ გამოასწორებდნენ.

ქალბატონმა შორენამ საკითხი შეაჯამა და აღნიშნა რომ დაწესებულების პერსონალი ამ ნაწილში იძულებულები იყვნენ, რომ მიჰყოლოდნენ პროცედურას და რეალურად განახორციელეს ისე, როგორც უნდა განხორციელებულიყო N442 ბრძანების შესაბამისად. ამის შემდეგ ქალბატონმა შორენამ საბჭოს წევრებს მიმართა, შეკითხვები ხომ არ ჰქონდათ ამ ნაწილში. რაზეც უპასუხეს რომ შეკითხები არ ჰქონდათ.

თემა უშუალოდ პროგრამის განხილვაზე გადავიდა. ქალბატონმა თათიამ გამოვლენილ ხარვეზებში გამოყენებული წყაროების მიუთითებლობა და მითითებული ლიტერატურის მოძიების შეუძლებლობა დაასახელა. ქალბატონმა შორენამ დააზუსტა და თქვა, რომ ხანდახან სწავლის შედეგის მისაღწევად რამდენიმე ლიტერატურაა მითითებული. მას აინტერესებდა, უშლიდა თუ არა ხელს სწავლის შედეგის მიღწევას რომელიმე ლიტერატურის არარსებობა. დარგის ექსპერტმა თავისი ხედვა დააფიქსირა და აღნიშნა, რომ თუ ინფექციის კონტროლის მოდულთან მიმართებით აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მიმართულებით წაიყვანდა მასწავლებელი მოდულს, რადგან საკმაოდ მოცულობითია. რადგან ამის შესაბამისი მტკიცებულებები არ ჰქონდათ, ამიტომ მოხდა საკითხის ხარვეზში გაყვანა.

რესურსებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა დაწესებულებამაც. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტის ნახსენები პროტოკოლიც იძებნება ბიბლიოთეკაში, უბრალოდ გაურკვეველი მიზეზების გამო ელექტრონულ სისტემაში ვერ მოძებნა ბიბლიოთეკარმა. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად საბიბლიოთეკო ჟურნალის ჩანაწერის ასლიც კი წარმოადგინა, ასევე, იმ გაიდლაინის ასლიც, რომელიც ნამდვილად ინახება ბიბლიოთეკაში. ამასთან, ყველა მითითებული სავალდებულო ლიტერატურა იძებნება. დამხმარე ლიტერატურაც ყველაა ბიბლიოთეკაში.

ქალბატონი შორენას შემდეგი დაზუსტება ეხებოდა განმავითარებელ რეკომენდაციას 5.1.1. ქვესტანდარტთან მიმართებით. კერძოდ, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას, როგორც კოლეჯს, რომელიც ახორციელებს თავის მოღვაწეობას უნივერსიტეტის სივრცეში, ცალკე გამოყოფილი სივრცე. ქალბატონმა თეამ აღნიშნა, რომ იჯარის ხელშეკრულებაში განსაზღვრულია კონკრეტული აუდიტორიები, რომლითაც ისარგებლებენ უნივერსიტეტის სტუდენტები, მაგრამ ეს აუდიტორიები ასევე გამოყენებულია პროფესიული პროგრამის სწავლებისთვისაც. ცალსახა გამიჯვნა აუდიტორიების არაა. აქ დაწესებულებამ აღნიშნა, რომ იჯარის ხელშეკრულებაში ახლაც არის გამოყოფილი კონკრეტული ოთახების ნომრები, რომლებსაც იყენებენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები. ამასთან, გათვალისწინებულია პროცედურები, რათა არ მოხდეს ცხრილების ერთმანეთზე ზედდება. მხარეებს შორის თანამშრომლობითი და მოლაპარაკების პროცესიდან გამომდინარე, თუ კოლეჯის საჭიროება იქნება იმაზე მეტი, ვიდრე დღეს არის დატვირთული, არ მოხდება ცხრილების ერთმანეთზე ზედდება.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის შემდეგი შეკითხვა სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობას ეხებოდა, ვინაიდან სტატუსშეჩერებული სტუდენტი უფრო მეტია, ვიდრე აქტიური სტატუსის მქონე, იგი დაინტერესდა, თუ რითია გამოწვეული აღნიშნული. დაწესებულების განმარტებით, ამის ერთ-ერთი მიზეზი წინაპირობიანი საგნებია, რადგან ეს თავად სტუდენტებისთვის აღმოჩნდა პრობლემური. რადგან წინაპირობიანი მოდულები შემდეგ არ აძლევდათ გარკვეული მოდულების გავლის საშუალებას. მეორე ფაქტორი სტატუსის შეჩერებისა ფინანსური პრობლემებია.

ასევე, ყურადღება მიიქცია მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობის საკითხმა. ექსპერტებს სტანდარტის 2.1. კომპონენტი მეტწილად შესაბამისად აქვთ შეფასებული, რაც, თავის მხრივ, მთელი სტანდარტის ნაწილობრივად შესაბამისობას იწვევს. აღნიშნულზე კომენტარი გააკეთა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ალბათ მეტი კომენტარი იქნებოდა საჭირო

დაწესებულების მხრიდან, რადგან თუ ნაწილობრივ შესაბამისია, გამოდის, რომ ეს პროგრამა განხორციელების უფლებას ვერ მიიღებს. თუ დაწესებულებას პროგრამა არ ექნება, მაშინ ავტორიზაციასაც ვერ გაივლის.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა შეკითხები. მათ შეკითხები არ ჰქონიათ, ამიტომ საბჭო სათათბიროდ გავიდა.

თათბირის შემდეგ ქალბატონმა შორენამ დაწესებულების საკითხი შეაჯამა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ დაფიქსირდა ბევრი ხარვეზი და განმავითარებელი რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციებმა ყველა სტანდარტი მოიცვა ფაქტობრივად. ქალბატონმა შორენამ აღნიშნა, რომ ახალი ავტორიზაციის სტანდარტები პრინციპულად განსხვავებულია ძველი თაობის სტანდარტებისგან. თვითონ ავტორიზაციამაც აბსოლუტურად სხვა ელფერი მიიღო და ის მკაფიოდ არის ორიენტირებული ხარისხის განვითარებაზე და არა ზარვეზების დაფიქსირებასა და შესაბამისი სანქციების გატარებაზე. როცა ხედავ, რომ ძალიან ბევრი შენიშვნები/ხარვეზებია და დაწესებულების უწყვეტი განვითარების ყველანაირი საშუალება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.
ქალბატონმა შორენამ დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მათ წარმოადგინეს საკმაოდ დაწვრილებითი ინსტრუქცია, იმისათვის რომ დაწესებულებამ მომავალში მოახდინოს თავისი განვითარება სწორი მიმართულებით.

რაც შეეხება ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ ხარვეზებს, სულ ორი ხარვეზი იყო ასეთი, რომელებიც პრეზენტაციის მიმდინარეობისას საბჭომ დაწვრილებით განიხილა. ორივე ხარვეზის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული შესაბამისი რეგულაცია. თუმცა, მიუხედავად ამისა, პროცესები სწორი მიმართულებით მიმდინარეობს. ამიტომ, საბჭოს მოსაზრებით შესაძლებელია ამ ხარვეზების (3.2.1. და 5.2.2. ქვესტანდარტის ხარვეზები) კვალიფიკაციის შეცვლა და მეტწილ შესაბამისობაში გადაყვანა, იმ არგუმენტით, რომ მექანიზმი არსებობს და მოქმედებს, რასაც ექსპერტები ადასტურებენ. თუმცა, არ არის რეგულაცია, რომელიც არის ამისი შესაბამისი. ამ შემთხვევაში, როგორც ქალბატონი შორენა აღნიშნავს, ექსპერტების პოზიცია გასაგებია, თუმცა, საბჭო ყველა ასპექტიდან აკეთებს ანალიზს.

რაც შეეხება 2.1 კომპონენტს, სადაც ექსპერტებმა დააფიქსირეს მეტწილი შესაბამისობა. წესების შესაბამისად, ამ შემთხვევაში დაწესებულებას არ აქვს პროგრამის განხორციელების უფლება. ამიტომ საკითხი საბჭომ დაწვრილებით შეისწავლა. ძირითადად მეტწილი შესაბამისობა ამ კომპონენტში ეხებოდა იმას, რომ დაწესებულებას მოდულებში არ ჰქონდა გათვალისწინებული ცვლილებები, რომლებიც ეხებოდა წინაპირობების ამოღებას, თუმცა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა სასწავლო გეგმის დატოვება იმ ფორმით, როგორც ჰქონდა დაწესებულებას წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოადგენილი სასწავლო გეგმის მიმართ, ექსპერტებს არ ჰქონდათ არანაირი შენიშვნა. ამიტომ, ეს შესაბამისობის რეკომენდაცია საბჭომ გადაიყვანა განმავითარებელი რეკომენდაციის სტატუსში. თუმცა, დარჩა სხვა შესაბამისობის რეკომენდაციები, ასევე მრავალი განმავითარებელი რეკომენდაცია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს გეგმა, ამ გეგმის მიმართ ექსპერტებს არ ჰქონიათ არანაირი პრეტენზია და ყველა ის საკითხო, რომელიც ექსპერტებს წარმოდგენილი აქვთ თავის რეკომენდაციებში, გეგმაში არის ასახული. აქედან გამომდინარე საბჭოს გადაწყვეტილება იქნება შესაბამისი.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ საკითხი კენჭისყრაზე დაწესებულების ავტორიზაციის მიცემაზე და პროგრამის განხორციელებაზე უნდა დაეყენებინათ. თუ დაწესებულება ამ უფლებას მიიღებდა, ხარისხის ცენტრს სთხოვა მონიტორინგი ჩაენიშნა ხუთივე სტანდარტის მიხედვით, რაც განმეორებითი ავტორიზაციის

ტოლფასია. თუმცა, დაწესებულებას აქვს კარგი რესურსი, ეს არის ექსპერტების მიერ დადებული დასკვნა. ქალბატონმა შორენამ, საბჭოს წევრებს მიმართა, რომ კენჭისყრის შემდეგ მათი რეკომენდაციებიც დაეფიქსირებინათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ საკითხი კენჭისყრაზე დაწესებულების ავტორიზაციის მიცემაზე და პროგრამის განხორციელებაზე უნდა დაეყენებინათ. თუ დაწესებულება ამ უფლებას მიიღებდა, ხარისხის ცენტრს სთხოვა, მონიტორინგი ჩაენიშნა ხუთივე სტანდარტის მიხედვით, რაც განმეორებითი ავტორიზაციის ტოლფასია. თუმცა, დაწესებულებას აქვს კარგი რესურსი, ეს არის ექსპერტების მიერ დადებული დასკვნა. ქალბატონმა შორენამ, საბჭოს წევრებს მიმართა, რომ კენჭისყრის შემდეგ მათი რეკომენდაციებიც დაეფიქსირებინათ.

სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

საბჭოს წევრმა, ქრისტინა რზგოევამ დააფიქსირა თავისი პოზიცია და აღნიშნა, რომ თანახმა იყო ავტორიზაციაზე მონიტორინგის პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა ხუთივე სტანდარტის მონიტორინგი, მისი მოსაზრებით ამ დაწესებულებას უნდა მიეცეს შანსი ხარვეზების გამოსასწორებლად. საბჭოს წევრი მარიამ ჩაგელიშვილი დაეთანხმა ქრისტინას და იმედი გამოთქვა, რომ მონიტორინგის შედეგები ისეთი იქნებოდა, რომ საბჭო დღევანდელი გადაწყვეტილების მართებულობაში დარწმუნდებოდა. განვითარებისკენ სწრაფვა და მეტი მუშაობა საკუთარ თავზე იქნება დაწესებულების თანმდევი ამ ექვსი თვის განმავლობაში. საბჭოს დანარჩენმა წევრებმაც იგივე პოზიცია დააფიქსირეს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯს (ს/კ: 402022609) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. კოლეჯსმიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2)**.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 21 ივლისი.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს სრული მონიტორინგი - პსდ ავტორიზაციის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე სტანდარტის გადამოწმების მიზნით. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 20 იანვარი. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს კოლეჯში ვიზიტი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 17:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	კბილის სატექნიკო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი თორნიკე ერისთავის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი თორნიკე ერისთავის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი თორნიკე ერისთავის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	192
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი თორნიკე ერისთავის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	50
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	110

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი თორნიკე ერისთავის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	475
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი თორნიკე ერისთავის ქ. N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	25
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	საქართველოს განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქართველოს საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N121
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	150
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210